

ზოგადი რჩევები პროექტის დაწერის მსურველთათვის

ინფორმაცია ეხება როგორც კვლევით პროექტებს, ასევე ე.წ.
“განვითარების“ პროექტებს - DEVELOPMENT PROJECTS



პუბლიკაცია მომზადებულია ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველოს“ ფინანსური მხარდაჭერით. ავტორის/ავტორების მიერ გამოთქმული მოსაზრება შესაძლოა არ გამოხატავდეს ფონდ „ღია საზოგადოება - საქართველოს“ პოზიციას, შესაბამისად ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

პუბლიკაციის თანადამფინანსებელია ევროკავშირის Erasmus+ პროგრამა. წინამდებარე პუბლიკაცია ასახავს მხოლოდ ავტორების მოსაზრებას და ევროკავშირი არაა პასუხისმგებელი წარმოდგენილ ინფორმაციაზე.

თბილისი

2015

- **პროექტის დასახელება და მიზანი**

სასურველია, პროექტის დასახელება არ იყოს ძალიან გრძელი და რთულად აღსაქმელი. შემფასებელი სათაურითვე უნდა მიხვდეს, რაზეა თქვენი პროექტი. მაქსიმალურად მარტივად და მკაფიოდ ჩამოაყალიბეთ კვლევის /პროექტის მიზანი, ხაზი გაუსვით მის მნიშვნელობას, ეცადეთ, თხრობა იყოს გასაგები, დამაჯერებელი და დასამახსოვრებელი. ყურადღება მიაქციეთ ე.წ. საკვანძო სიტყვებს, სწორად შეარჩიეთ ისინი.

რჩევა: ყოველთვის უფრო მომგებიანია საპროექტო განაცხადი, რომელსაც კონკრეტული, ხელშესახები და რეალისტური მიზანი აქვს. თავიდანვე დაფიქრდით, ხომ არ არის თქვენი იდეა მეტისმეტად ზოგადი (შესაბამისად - ბუნდოვანი), ან მეტისმეტად (არარეალისტურად) ამბიციური. ასეთ შემთვევაში გაგიჭირდებათ განაცხადის შემდეგი საფეხურების დამაჯერებლად ჩამოყალიბება.

- **კვლევის საკითხთან დაკავშირებით არსებული ვითარება (იგივე state of the art / background)**

ან ნაწილში უნდა აჩვენოთ, რომ იცნობთ საკუთარი კვლევის საკითხს, იცით, რა მნიშვნელოვანი მიღწევები არსებობს ბოლო წლებში ამ სფეროში (განხორციელებული პროექტები, კვლევები, პუბლიკაციები და სხვა). ეს მოკვლევა საპროექტო განაცხადის დაწერამდე უნდა ჩაატაროთ, რათა არ გაიმეოროთ უკვე განხორციელებული სამუშაო და თავიდან აირიდოთ უსარგებლო შრომა.

ეცადეთ, მოკლედ აღნიშნოთ ამ დარგის მხოლოდ ყველაზე მნიშვნელოვანი და უახლესი კვლევები, დანარჩენი კი მიუთითოთ ბმულების (ან ბიბლიოგრაფიის) სახით.

თუ თქვენს თემაზე სხვა კვლევები/პროექტებია განხორციელებული, უნდა აჩვენოთ, რაშია თქვენი სიახლე, განსხვავება, რითი ავსებს/ასრულებს/ამდიდრებს თქვენი პროექტი ამ სფეროში არსებულ ცოდნასა და გამოცდილებას.

(განვითარების პროექტების შემთხვევაში განსაკუთრებით სასარგებლოა სხვა (ან იგივე) დონორის მიერ განხორციელებული ისეთი პროექტების ხსენება, რომელთა გაგრძელება შეიძლება იყოს თქვენი პროექტი. დონორს ყოველთვის აინტერესებს თავის დაფინანსებულ პროექტებში ურთიერთკავშირის უზრუნველყოფა და უწყვეტობის შენარჩუნება). ასე რომ, სასარგებლოა, მოიძიოთ ინფორმაცია არა მხოლოდ ამ დარგში განხორციელებული პროექტების შესახებ, არამედ ამ პროექტების დონორებზეც. თუ მიმართეთ დონორს, რომელსაც უკვე „ინვესტირებული“ აქვს ამ სფეროში, შეგიძლიათ, დასაბუთებისას ეს კარგად გამოიყენოთ თქვენს სასარგებლოდ.

- **რესურსები**

ეს ნაწილი გულისხმობს იმ პროფესიულ, ადამიანურ, ტექნიკურ, მატერიალურ თუ სხვა ტიპის რესურსს, რომელიც წარმოადგენს თქვენს კაპიტალს ამ პროექტის განსახორციელებლად.

აუცილებელია, მკაფიოდ წარმოაჩინოთ საკუთარი და პროექტში ჩართული სხვა ადამიანების პროფესიული ცოდნა და გამოცდილება კვლევის საკითხთან დაკავშირებით: განხორციელებული პროექტები, კვლევები, გამოქვეყნებული სტატიები, პუბლიკაციები და სხვა. (ერიდეთ ზოგადი ტიპის განსაზღვრებებს: „ბევრი პროექტი აქვს განხორციელებული“ „დიდი გამოცდილება აქვს“ და ა.შ. მიუთითეთ წლების რაოდენობა, პროექტების დასახელებები, ბმულები და სხვა).

გახსოვდეთ, რომ არაა საჭირო პროექტში ჩართული ადამიანების ქრონოლოგიური და სრული CV-ები: საკმარისია მოკლე რეზიუმეები, რომლებიც შეიცავს მხოლოდ რელევანტურ ინფორმაციას და აჩვენებს პროექტის განმახორციელებელთა კომპეტენციას და გამოცდილებას შესაბამის დარგში.

- **პროექტით დაგეგმილი აქტივობები**

ლოგიკურად და თანმიმდევრულად წარმოაჩინეთ, რა აქტივობების გზით აპირებთ პროექტის მიზნების განხორციელებას. აქტივობებში შედის როგორც საორგანიზაციო, ლოგისტიკური საქმიანობები (მაგ.: ოფისის მოწყობა, პერსონალის აყვანა, საჭირო ტექნიკისა და სხვა მასალების შესყიდვა და სხვა), ასევე შინაარსობრივი აქტივობები (მაგ.: სამიზნე ჯგუფების შერჩევა, კითხვარები, კვლევა, მასალის დამუშავება, სამუშაო შეხვედრების დაგეგმვა-ორგანიზება და სხვა).

დააკვირდით, რომ აქტივობები იყოს რეალისტური და ლოგიკურად და უკავშირდებოდეს ერთმანეთს და პროექტის მიზნებსა და შედეგებს.

გაიაზრეთ სავარაუდო შეკითხვები, რომლებიც შემფასებელს შეიძლება გაუჩნდეს თითოეულ აქტივობასთან დაკავშირებით, როგორც შინაარსობრივი, ასევე პრაქტიკული თვალსაზრისით. სავარაუდო შეკითხვებზე წინასწარ ფიქრი დაგეხმარებათ, მაქსიმალურად მკაფიოდ ჩამოაყალიბოთ საკუთარი მოსაზრებები და გეგმები.

- **მოკლევადიანი და გრძელვადიანი მიზნები/შედეგები**

მოკლევადიანი მიზნები/შედეგები ისინია, რომელთა მიღწევასაც პროექტის ფარგლებში გეგმავთ, დაგეგმილი აქტივობების საშუალებით. ესაა ხელშესახები შედეგები, რომლებსაც რეალურად ელით პროექტის დასრულს.

გრძელვადიანი მიზნების/შედეგების მიღწევის პირობას თქვენ არ დებთ პროექტის ფარგლებში. ესაა რაღაც, რისი ნაწილიცაა, რასაც ემსახურება თქვენი პროექტი გლობალურად.

(მაგ.: თუ პროექტი გულისხმობს ამა თუ იმ პრობლემის შესწავლას საზოგადოების ამა თუ იმ ჯგუფში, ერთ-ერთი მოკლევადიანი მიზანი შეიძლება იყოს შესაბამისი თემატური პუბლიკაციის, ვებ გვერდის, ვიდეო თუ სხვა მასალის მომზადება, კონფერენციის მოწყობა პროექტის დასასრულს. ხოლო გრძელვადიანი მიზანი - კვლევის შედეგად გამოვლენილი პრობლემის ასახვა, მაგალითად, საკანონმდებლო ინიციატივაში, ამ ჯგუფის ინტეგრაციის ხელშეწყობა, მისი უფლებების დაცვა, მისდამი საზოგადოების მგრძობელობის გაზრდა და სხვა).

იგივე მიდგომაა სამეცნიერო კვლევითი პროექტის შემთხვევაშიც: გახსოვდეთ, რომ მოკლევადიანი მიზანი პროექტის ფარგლებში მისაღები შედეგია, რომელიც თქვენ უნდა აჩვენოთ, ხოლო გრძელვადიანი - ის წვლილი/მნიშვნელობა, რასაც თვენი კვლევა შეიტანს შესაბამის დარგში.

- **გავრცელება / მდგრადობა**

მდგრადობა შემფასებლისთვის მნიშვნელოვანი კომპონენტია. უნდა დაასაბუთოთ, რომ ნაფიქრი გაქვთ საკუთარი პროექტის შედეგების სათანადოდ გავრცელებასა და მათ შენარჩუნებაზე. მნიშვნელოვანია, პროექტი არ გამოიყურებოდეს “იზოლირებულად“, ანუ გულისხმობდეს დაინტერესებული მხარეებისთვის ცოდნის/გამოცდილების/მიღწევების გაზიარებას. მარტივი სიტყვებით რომ ვთქვათ, უნდა ჩანდეს, ვის უტოვებთ შეძენილ „მემკვიდრეობას“, ვინ და როგორ იზრუნებს მის შენარჩუნება-გამოყენებაზე.

უნივერსალური რჩევა ყველასათვის:

წაკითხეთ პროექტი კომპეტენტურ ადამიანს (ადამიანებს), თუნდაც არა თქვენი დარგის სპეციალისტს. გახსოვდეთ, რომ შემფასებლები არ არიან ყოველთვის ერთი სფეროს წარმომადგენლები. თქვენი მიზანია, დაარწმუნოთ შემფასებელი, რომ ღირს თქვენი პროექტის დაფინანსება. ამიტომ ეცადეთ, მისი თვალით წაიკითხოთ საკუთარი ნაწერი, მოაშორეთ ზედმეტი, განმარტოთ ის, რაც თქვენთვის შეიძლება ცხადია, მაგრამ სხვისთვის - გაუგებარი და ა.შ.

ერიდეთ მეტისმეტად ტექნიკური და ვრცელი ინფორმაციის ნარატიულ ნაწილში ჩასმას. ჯობია, პროექტის ძირითადი, თხრობითი ნაწილი იყოს მარტივად აღსაქმელი (რამდენადაც ეს შესაძლებელია) და სპეციფიკური, ტექნიკური ინფორმაცია დაურთოთ ცალკე დანართების სახით.

პროექტი უნდა იყოს დაწერილი გამართული ენით; ყურადღება მიაქციეთ ენობრივ ნორმებს, პუნქტუაციას, უცხო სიტყვების გამოყენებას (ერიდეთ ზედმეტ ლათინიზმებს და გამოიყენეთ ქართული ტერმინოლოგია, სადაც ამის საშუალება არსებობს).

წინამდებარე მასალის მომზადებისას გამოვიყენეთ ევროკავშირის Tempus-ის პროექტის „Project Actors Capacity Training in Caucasus“ (544047-TEMPUS-1-2013-1-GE-TEMPUS-JPGR) ფარგლებში შემუშავებული გზამკვლევები.

გაწეული დახმარებისათვის განსაკუთრებულ მადლობას მოვასხენებთ **ხათუნა ცხადაძეს**, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა კარიერული განვითარების ცენტრის ხელმძღვანელს.